დანართი
დამტკიცებულია:
რექტორის ბრძანება №14/01, 01.05.2023

ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმი

2023

შესავალი

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) საქმიანობის მთავარი ორიენტირია სტუდენტი, ხოლო უმნიშვნელოვანესი მიზანია მისი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა, რომლითაც პირდაპირ თუ ირიბად განმსჭვალულია საუნივერსიტეტო საქმიანობის ყველა მიმართულება.

წინამდებარე დოკუმენტი შექმნილია სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით, საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპების გათვალისწინებით. დოკუმენტი მიზნად ისახავს უნივერსიტეტში შემდეგი ღირებულებების დამკვიდრებას და დაცვას:

- სტუდენთა დისკრიმინაციის დაუშვებლობა;
- სტუდენტთა თანასწორობა;
- სტუდენტთა გამოხატვის თავისუფლება;
- სტუდენტთა ჩართულობა უნივერსიტეტში გადაწყვეტილების მიღების პროცესში;
- სტუდენტთა აკადემიური თავისუფლება.

მუხლი 1. რეგულირების სფერო და მიზნები

1.1. ეს დოკუმენტი ადგენს უნივერსიტეტის სტუდენტთა უფლებებისა და მათი დაცვის სამართლებრივ მექანიზმებს.

1.2. ამ წესის მიზანია უნივერსიტეტის სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის ხელშესაწყობად ქმედითი მექანიზმების შექმნა.

მუხლი 2. სტუდენტის უფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვის ზოგადი მექანიზმები

2.1. სტუდენტის უფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით უნივერსიტეტის მიერ გამოყენებულია შემდეგი მექანიზმები:

ა) პრევენციული - უნივერსიტეტი აცნობს და განუმარტავს სტუდენტებს თავის უფლებებსა და მოვალეობებს, აგრეთვე შიდანორმატიულ დოკუმენტებს. ფაკულტეტები ვალდებულნი არიან სტუდენტებთან აწარმოონ მუდმივი კონსულტაციები და ხელი შეუწყონ მათი ცნობიერების ამაღლებას მათი უფლებების შესახებ;

ბ) განცხადება/საჩივრის განხილვა - უნივერსიტეტის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახური (ასევე ფაკულტეტ(ებ)ის დეკანი, რექტორი) სტუდენტის უფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით ვალდებულია მიიღოს ნებისმიერი სტუდენტის განცხადება და მოახდინოს შესაბამისი რეაგირება;

გ) სტუდენტის უფლებების დარღვევის გამოვლენა - უნივერსიტეტის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახური (ასევე ფაკულტეტ(ებ)ის დეკანი, რექტორი) უფლებამოსილია შეისწავლოს სტუდენტის უფლებების და კანონიერი ინტერესების დარღვევის ფაქტები;

დ) რეაგირება - უნივერსიტეტის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახური (ასევე ფაკულტეტ(ებ)ის დეკანი, რექტორი) ვალდებულია მოახდინოს სწრაფი და ადეკვატური რეაგირება დარღვევის დადასტურებულ ფაქტზე.

მუხლი 3. სტუდენტის უფლებები

3.1. ყველა ის პირი, რომელიც „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით და უნივერსიტეტის განკარგულებითი დოკუმენტებით გასაზღვრული წესით ჩაირიცხა და სწავლობს უნივერსიტეტის აკადემიურ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე, სარგებლობს სტუდენტის უფლებებით.

3.2. ყველა სტუდენტი თანასწორია საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმებისა და პრინციპების წინაშე. დაუშვებელია სტუდენტის რაიმე ფორმით დისკრიმინაცია.

3.3. სტუდენტს უფლება აქვს:

ა) მიიღოს ხარისხიანი განათლება;

ბ) მონაწილეობა მიიღოს მეცნიერულ კვლევაში;

გ)უნივერსიტეტის რეგულაციებით დადგენილი წესით თანაბარ პირობებში ისარგებლოს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;

დ) გაწევრიანდეს სტუდენტურ გაერთიანებებში/საინიციატივო/შემოქმედებით ჯგუფებში, სტუდენტური ცხოვრების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით;

ე) ითანამშრომლოს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებთან და მოახდინოს სტუდენტებისთვის მნიშვნელოვანი სხვადასხვა საკითხების ინიცირება;

ვ) საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით აირჩიოს წარმომადგენელი და არჩეულ იქნეს სტუდენტურ თვითმმართველობაში;

ზ) თავისუფლად დააფუძნოს ან/და გაერთიანდეს სტუდენტურ ორგანიზაციებში თავისი ინტერესების შესაბამისად;

თ) თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი და დასაბუთებული უარი თქვას იმ იდეათა გაზიარებაზე, რომელსაც სთავაზობენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას;

ი) საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის რეგულაციებით განსაზღვრული წესით ისარგებლოს შიდა და გარე მობილობით;

კ) საქართველოს კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის შინაგანაწესისა და საერთო საუნივერსიტეტო მარეგულირებელი აქტების შესაბამისად სახელმწიფოსგან, უნივერსიტეტისგან ან სხვა წყაროებიდან მიიღოს სტიპენდია, ფინანსური ან მატერიალური დახმარება, სხვა სახის შეღავათები;

ლ) აირჩიოს საგანმანათლებლო პროგრამა;

მ) ინიცირება მოახდინოს ან/და მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში უნივერსიტეტის რეგულაციების შესაბამისად;

ნ) მონაწილეობა მიიღოს აკადემიური პერსონალის, მოწვეული ლექტორებისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მუშაობის ეფექტიანობის შეფასებაში;

ო) კანონმდებლობით დადგენილი წესით ისარგებლოს მობილობის უფლებით, თუ უნივერსიტეტი ლიკვიდირებულ იქნა უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ დაკარგა ავტორიზაცია ან საგანმანათლებლო პროგრამა აღარ ხორციელდება;

პ) უზრუნველყოფილი იყოს უნივერსიტეტის მიერ, მისი ცოდნის სამართლიანი, ობიექტური შეფასებით, დადგენილი პროცედურების შესაბამისად;

ჟ) სასამართლოში გაასაჩივროს უნივერსიტეტის მიერ მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება;

რ) განახორციელოს ამ წესით, უნივერსიტეტის სხვა რეგულაციებითა და საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილება.

ს) უნივერსიტეტი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტებისთვის აწესებს შეღავათებს მათი სრულფასოვანი განათლებისათვის პირობების შესაქმნელად, რაც განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით და უნივერსიტეტის რეგულაციებით.

მუხლი 4. კონფიდენციალობა და გამოხატვის თავისუფლება

4.1. სტუდენტის მიერ აკადემიური პერსონალის თანდასწრებით გამოთქმული პირადი ინფორმაცია, ასევე ინფორმაცია საკუთარი შეხედულებების, რწმენისა და პოლიტიკური მრწამსის შესახებ, რომელიც ამ უკანასკნელისთვის ცნობილი გახდა სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, აგრეთვე ინფორმაცია სტუდენტის მიმართ დისციპლინური ღონისძიების გატარების შესახებ კონფიდენციალურია, გარდა იმ შემთხვევისა, თუ არსებობს სტუდენტის ნებართვა, ან ადმინისტრაციის კანონიერი ინტერესი დაიცვას სხვისი უსაფრთხოება და კანონით დაცული უფლებები.

4.2. უნივერსიტეტს ეკრძალება საკუთარი უფლებამოსილებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის იმგვარად გამოყენება, რამაც შეიძლება შექმნას ცენზურის დაწესების საფრთხე ან შეზღუდოს გამოხატვის თავისუფლება, გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა.

მუხლი 5. სტუდენტის უფლებები დისციპლინური საქმისწარმოებისას

5.1. სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოება უნდა იყოს დისციპლინური გადაცდომის პროპორციული და შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ უნივერსიტეტის რეგულაციებით გათვალისწინებულ შემთხვევებში და გათვალისწინებული წესით, კანონმდებლობით გათვალისწინებით და სამართლიანი პროცედურის გზით.

5.2. სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყება არ უნდა ზღუდავდეს სტუდენტის უფლებას, მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ეს საფრთხეს უქმნის სხვისი უფლებების, ჯანმრთელობის, უნივერსიტეტის საკუთრებისა და უსაფრთხოების დაცვას.

5.3. დისციპლინური წარმოების განხორციელებისას სტუდენტს უფლება აქვს:

ა) წერილობითი ფორმით მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება მის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ;

ბ) დაესწროს დისციპლინური წარმოების საკითხის განხილვას და ისარგებლოს დაცვის უფლებით;

გ) მიაწოდოს უნივერსიტეტის შესაბამის ორგანოს თავის ხელთ არსებული ინფორმაცია და მტკიცებულებები;

დ) მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის შესაბამისი ორგანოს მიერ მოპოვებული მტკიცებულებების გამოკვლევაში;

ე) მოითხოვოს, მის მიმართ დისციპლინური წარმოების საკითხი განხილულ იქნეს საჯარო სხდომაზე.

6.4. დისციპლინური წარმოების საკითხის განხილვისას მტკიცების ტვირთი აწევს ბრალდების მხარეს. დისციპლინური წარმოების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და ემყარებოდეს საქართველოს კანონმდებლობით და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული წესით მოპოვებულ მტკიცებულებებს.

მუხლი 6. სტუდენტთა უფლებების დაცვა

1. სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის ზედამხედველობასა და დაცვას

უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახური სტუდენტურ თვითმმართველობასთან ერთობლივი თანამაშრომლობით.

2. სტუდენტი უფლებამოსილია დამოუკიდებლად მიმართოს უნივერსიტეტის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურს, ასევე რექტორს ან შესაბამის ფაკულტეტს.

3. სტუდენტთა უფლებების დაცვის კუთხით, სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის, ფაკულტეტებისა და სტუდენტური თვითმმართველობის ერთობლივი თანამშრომლობისა და საქმიანობის მიზანს წარმოადგენს:

ა) უნივერსიტეტის სტუდენტთა უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის, შეზღუდვის ფაქტების გამოვლენა, კანონმდებლობითა და საერთო საუნივერსიტეტო მარეგულირებელი აქტებით დადგენილი წესით ამგვარ ფაქტებზე რეაგირება და უნივერსიტეტის რექტორისთვის სარეკომენდაციო წინადადებების წარდგენა ხსენებულ უფლებათა და თავისუფლებათა დაცვისა და სრულფასოვნად განხორციელების უზრუნველსაყოფად;

ბ) სტუდენტთა უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის, შეზღუდვის ფაქტებთან დაკავშირებით წარმოქმნილ კონფლიქტურ ურთიერთობებში მხარეებს შორის მედიატორის (შუამავლის) ფუნქციის შესრულება.

4. სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს:

ა) უნივერსიტეტის პერსონალისა და სხვა სტუდენტების მხრიდან უნივერსიტეტის სტუდენტთა უფლებათა და თავისუფლებათა დაცვასა და პატივისცემის ზედამხედველობას, განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, სქესისა, ენისა, რელიგიისა, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა თუ სხვა გარემოებისა;

ბ) სტუდენტის მიმართვის განხილვას მისი უფლებების შესაძლო დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით, თუ სტუდენტი მიიჩნევს, რომ დაირღვა მისი უფლებები და კანონიერი ინტერესები ან რომელიც თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევს;

გ) როგორც განცხადების ან საჩივრის არსებობისას, ისე საკუთარი ინიციატივით, პირდაპირი ან/და ირიბი დისკრიმინაციის ფაქტების შესწავლას და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას;

დ) უფლებადარღვეული სტუდენტის უფლებების აღსადგენად უნივერსიტეტის შესაბამის პერსონალისთვის ან/და სტრუქტურულ ერთეულისთვის რეკომენდაციით მიმართვას, თუ არსებობს საკმარისი მასალები, რომლებიც ადასტურებს უფლების დარღვევის ფაქტს.

5. სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახური თავისი კომპეტენციის ფარგლებში, უფლებამოსილია:

ა) უნივერსიტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულიდან გამოითხოვოს და მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია/დოკუმენტი;

გ) სამსახურებრივი საჭიროებისათვის განმარტების/დასკვნის მისაღებად მიმართოს შესაბამის ექსპერტს/სპეციალისტს ან/და დაწესებულებას;

გ) სტუდენტის განცხადების საფუძველზე უნივერსიტეტის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს ან/და ადმინისტრაციულ პერსონალს მიმართოს შუამდგომლობით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიება, თუ ეს ღონისძიება მიზნად ისახავს სტუდენტის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას;

დ) შესაბამისი უფლებების დარღვევის ფაქტის თაობაზე რეკომენდაციით მიმართოს უნივერსიტეტის რექტორს გადაწყვეტილების მიღების მიზნით;

ე) საჭიროების შემთხვევაში მიმართოს რექტორს სადისციპლინო კომისიის შექმნის შესახებ,

რომელიც განიხილავს საკითხს სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მოპოვებული ინფორმაციისა და მტკიცებულებების საფუძველზე.

ვ) სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახური/სადისციპლინო კომისია საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებისას დამოუკიდებელია. რაიმე ზემოქმედება და მის საქმიანობაში ჩარევა აკრძალულია.

ზ) სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახური/სადისციპლინო კომისია საქმიანობის პროცესში ხელმძღვანელობს სამართლიანობის, ობიექტურობის, მიუკერძოებლობისა და კანონიერების პრინციპებით.

თ) უნივერსიტეტის პერსონალი ვალდებულია თავისი კომპეტენციის ფარგლებში დაეხმაროს სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურს/სადისციპლინო კომისიას საქმიანობის განხორციელებაში და წარუდგინოს უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო ინფორმაცია/დოკუმენტი.

ი) სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახური/სადისციპლინო კომისია ვალდებულია დაიცვას უფლებამოსილების განხორციელების დროს მიღებული ინფორმაციის საიდუმლოობა.

კ) უნივერსიტეტის პერსონალი, ასევე სტუდენტები ვალდებული არიან, ითანამშრომლონ სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურთან/სადისციპლინო კომისიასთან და სრულად მიაწოდონ მას მოთხოვნილი ინფორმაცია და დოკუმენტები, აგრეთვე მისცენ მას ახსნა-განმარტებები შემოწმების პროცესში გამოვლენილ ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით.

6. უნივერსიტეტის მიერ სტუდენტის განცხადების განხილვის ვადა და შემდგომი რეაგირება:

6.1. განცხადების განხილვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 1 თვეს.

6.2. თუ დადგინდება სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევის ფაქტი, სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახური უფლებამოსილია:

ა) მიმართოს უფლებადამრღვევ პირს სტუდენტის უფლებების დარღვევის ფაქტის აღკვეთისა და დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით;

ბ) თუ მოკვლევის შედეგად გამოიკვეთა სტუდენტთა უფლებების უხეშად დარღვევის ფაქტი, მიმართოს უნივერსიტეტის რექტორს იმ პირთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ, რომელთა მოქმედებამაც გამოიწვია სტუდენტის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევა ან მოითხოვოს სადისციპლო კომისიის შექმნა და საკითხის განხილვა კომისიის სხდომაზე;

გ) სტუდენტის დარღვეულ უფლებათა და თავისუფლებათა აღსადგენად წინადადებები და რეკომენდაციები გაუგზავნოს უნივერსიტეტის იმ სტრუქტურულ ერთეულებს ან პერსონალს ან/და სხვა პირებს, რომელთა მოქმედებამაც გამოიწვია სტუდენტის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევა;

დ) წინადადებით მიმართოს შესაბამის საგამოძიებო ორგანოებს თუ საქმის განხილვის შედეგად გამოიკვეთა, რომ არსებობს დანაშაულის ნიშნები.

7. უფლებადამრღვევი პირი ვალდებულია:

ა) სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის/სადისციპლინო კომისიის მიერ მითითებულ ვადაში შეასრულოს მისი მოთხოვნები და ეს აცნობოს მას და უფლებადარღვეულ სტუდენტს.

ბ) თუ უფლებადამრღვევი პირი არ ასრულებს სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის/სადისციპლინო კომისიის მოთხოვნებს, ის უფლებამოსილია მიმართოს შესაბამის საკანონმდებლო მექანიზმებს.